პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

24 დეკემბერი 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ:

1. შეიცვალოს დადგენილების №1 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№1 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

2. შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№2 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

3. შეიცვალოს დადგენილების №3 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№3 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის
№ .....დადგენილების დანართი № 1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხისა და
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შ ე ს ა ხ ე ბ

№ რიგზე	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	სამტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარში
საკრებულოს აპარატის მოსამსახურეები: 38 შტატი. მათ შორის:				
1.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – სამდივნო განყოფილება: 8 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამდივნო განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3680
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	6	2080
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1920
2.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – იურიდიული განყოფილება: 4 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიული განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3200
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	3	2080
3.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადმინისტრაციული განყოფილება: 12 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3200
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	9 1	2080 2400
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1920
4.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება: 7 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3200
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	5 1	2080 2400

5.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება: 4 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3200
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	3	2080
6.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 3 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3200
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	2	2080

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის
№ ..... დადგენილების დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხის შესახებ

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 1 პირი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 3680 ლარი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 12 მოსამსახურე. მათ შორის:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 1 ერთეული;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე – 1 ერთეული;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე – 2 ერთეული;

დ) მოწვეული სპეციალისტი - 6 ერთეული;

ე) სპეციალისტი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 1 ერთეული;

ვ) დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის
№ ..... დადგენილების დანართი № 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური
თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის

შ ე ს ა ხ ე ბ

№ რიგზე	თანამდებობის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარში
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირი: 17 ერთეული. მათ შორის:			
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	7360
2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	5760
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	5120
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	4000
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	3520
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	2880

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ჭიღვარია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილება ხითვალისწინებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდას 10%-ით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, საკრებულოს აპარატის მოხელეთა და პოლიტიკური თანამდებობების პირებისათვის თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრულია ამ თანამდებობებისათვის კანონით დადგენილი კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე (1600 ლარი) ნამრავლით.

დადგენილების პროექტით აგრეთვე, განსაზღვრულია ცვლილებების განხორციელება საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხასა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შესახებ დადგენილების დანართში. კერძოდ:

1. საკრებულოს აპარატის ნუსხაში საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა არ იცვლება, ხდება მხოლოდ შტატების შიდა გადაადგილება.
2. საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შესახებ დადგენილების დანართში იზრდება ფრაქციის თავმჯდომარის რაოდენობა 1 ერთეულით. ანუ, ამჟამად არსებული 2 ერთეული იცვლება 3 ერთეულით. ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეების რაოდენობა მცირდება 2 ერთეულით, ანუ, ამჟამად არსებული 7 ერთეული იცვლება 5 ერთეულით. გამომდინარე აქედან, პოლიტიკური თანამდებობის პირების საერთო რაოდენობა მცირდება 1 ერთეულით, იყო 18 ერთეული, გახდება 17. ამ მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები წინა მოწვევის ამ პერიოდთან შედარებით, მცირდება საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის განსაზღვრული ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული ცვლილებებით, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებთან.

3. დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე დადგენილების მიღებით, მნიშვნელოვნად გაიზრდება საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მოტივაცია. თითოეულ მოხელეს სტიმული მიეცემა მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს მინდობილი საქმისადმი.

4. დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

დადგენილების პროექტით განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული ხარჯები განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. გამომდინარე აქედან, წინამდებარე დადგენილების მიღება არ გამოიწვევს წარმომადგენლობითი ორგანოს შრომის ანაზღაურებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

5. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ჭიღვარია.

6. დადგენილების პროექტის ავტორი:

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

7. დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

საკრებულოს აპარატის უფროსი, გიორგი სვანიძე.

ც.პატარიძე

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი